

8  
1965


№1-24



ნახ. ჯ. ლომუასი

— რა შეუგნებელი ცნობვლებია, მთელი დღე  
გღაპიან და სადღვრელოს თქმას არ ატლიან  
კაცს!

№ 1 თბილისი იანვარი 1965



გამოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კპ.

# კონსტრუქციული ქართული საქარმო

# კონსტრუქციული ქართული საქარმო

რკინიგზას ქალაქის ცენტრში აქვს საქალაქო სადგური, შენობა .თუ არა ვცდები, „ჩუპ“ წელს არს დადგმული.

შიგ შესვლა გახლავთ საშიში, გამოსვლის შიშიც დიდია, ჭერზე დამსკდარი ბათქაში ნაფლეთ-ნაფლეთად ჰკიდია.

იმ დღესაც ჩამოიშალა ზათქით, ზარით და ზანზარით.

შეშინებულმა მგზავობმა ერთ ფეხზე გამოვასწარი.

ეს საგანგაშო ამბავი თურმე „კომგანშიც“ იციან, მაგრამ, რომ გაარემონტონ, ამისთვის ველარ „იცილიან“.

მიხედეთ, ძმებო, სალაროს, და მგზავრებს ნულარ აჩივლებთ, შენობას თუ არ დაეძებთ, მოლარე გადაარჩინეთ.

### 3. კანელიზაცია

საჩხერის კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის სარდაფში წყალი დგას.

სა. ა. კანელიზაცია



— დობილო, ჩვენს უბანში ხომ არ გათხოვდი, ყოველდღე რომ აქ დადიხარ?  
— არა გენაცვალე, საბანაოდ დავდივარ კავშირგაბმულობის კანტორის სარდაფში!

1964 წლის შემოდგომის მიწურულს, როდესაც საზღები და მარნები უხვი დოვლათით გაივსო, როცა ჭირნახულდაბინა-ვებულ გორელ მშრომლებს ტაშ-ფანდური ჰქონდათ გამართული და, ლხინის მეტი, საქმე არ დარჩენოდათ, თოვლი მოვიდა; თეთრი საბანი გადაეფარა მთებსა და მინდვრებს.

— ზამთარი... — გააბეს სიმღერა მშრომლებმა და არხეინად შეუკეთეს ბუხარს შეშა.

— ღმერთო ძლიერო, შენ შეგვიბრაღე, — შეევედრნენ მამაშეციერს კარალეთის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები და გავარდნენ თოვლით დაფარულ მინდვრებში.

— რა არის, მეზობლებო, რას კვებთ?!

— შაქრის ჭარხალი დაგვრჩა ასაღები და...

— მერე რაღა თოვლის მოსვლას და ყინვას ელოდით, თავის დროზე ამოგეღოთ და დაგვებინავებინათ, გეგმასაც შეასრულებდით და დამზადებასაც კარგ ფასად ჩააბარებდით. — გამოეხმაურნენ კარალეთელებს მეზობლები.

— კარგი იყო, მაგრამ...

დაუშინეს კარალეთელებმა გაყინულ მიწას ბარები და წერაქვები, ჯანსაღი კბილებივით აძრობდნენ გაყინულ მიწიდან თითოეულ ჭარხალს და ავტომანქანის ძარაზე აგროვებდნენ. დღის ბოლოს ობოლი მაყარივით მიადგა კარალეთის მეურნეობის ავტომანქანა გორის შაქრის ჭარხლის მიმღებ პუნქტს. შეხედეს ტალახით სავსე ავტომანქანის ძარას პუნქტის მუშაკებმა და მოცუკვავებევით გაშალეს ხელები.

— კაცო, ეს რა მოგიტანიათ?! ტალახის მოსატანად რაღა კარალეთში დარბოდით, მოსულიყავით და აი, ჩვენს ეზოში, მუხლამდე რომ ტალახში ვართ ჩამჯდარი, ის მოგვეგროვებინათ, მაღლობასაც გეტყოდით და ნაკლებსაც იწვავდით.

გახედეს კარალეთელებმა ჯერ თავიანთ ავტომანქანაზე დაგროვილ ტალახს, ჭარხლის ბოლოები თავის კუდებივით რომ ჰქონდათ აქა-იქ ამოშეერილი, შემდეგ პუნქტის ეზოში მდგარი ტალახის მორევს და გაასავსავს ხელები.

— ნუ დაგვეუბავთ... თითო ჭარხლის ამოღებაზე თითო ჩაფი ოფლი გვაქვს ჩაღვრილი, წყალში ნუ გადაგვიყრით ნაამაგარს, მიიღეთ და სამუდამოდ დაგვაგალეთ...

ატყდა სვეწინა-მუდარა, თხოვნა და, ბოლოს, ინსტრუქციის საწინააღმდეგოდ, 10 პროცენტამდე დანაგვიანებული, მოუყინავი, დაუმჭკნარი ჭარხლის ნაცვლად, მიღებული იქნა 15-დან 22 პროცენტამდე დანაგვიანებული მოყინული და დამჭკნარი შაქრის ჭარხალი. ისევ დაუბრუნდნენ კარალეთელები თოვლით დაფარულ მინდვრებს, ისევე ატყდა ბარ-წერაქვების კაკუნი გაყინულ მიწაზე და დაიწყო თითოეული ჭარხლის ძებნა.

— ღმერთო ძლიერო, შენ შეგვიბრაღე... — კიდევ ერთხელ შეევედრნენ მამაშეციერს მეურნეობის ხელმძღვანელები, მაგრამ აავდო ქვა მამაშეციერმა და თავი შეუშვია, კიდევ უფრო გაძლიერდა ყინვა, კიდევ უფრო მოიყინა ჭარხალი, კიდევ უფრო დაეკარგა ფასი მთელი წლის ნაჭირნახულეებს. ახსნა-განმარტებამ და თავის მართლებამ ვერ გააღლო ვერც ჭარხალი და ვერც ნიადაგი. კარალეთის საბჭოთა მეურნეობის თავკაცები კი სირცხვილისაგან ჭარხალივით არ გაწითლებულან.

### სამგაპუაზვილი

საოცრებათა საუკუნეში ცვხოვრობთ.  
მრავალ საოცრებათა შორის, ერთ-ერთი მშენებლობის გიგანტური მასშტაბი გახლავთ. პატარ-პატარა ქობნახებს მუსრი ევლებათ. იმათ ადგილზე ვეება შენობები მიიწვევენ ცისკენ და, გახედვას ვერ მოასწრებ, რომ იქ, სადაც არაფერი იყო გუშინ, დღეს სასახლე აღიმართება. მრავლდებიან კულტურისა და კულტურული მომსახურების კერები, მალაზიები, საცხოვრებელი სახლები, ქარხნები, ფაბრიკები, სკოლები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები.

ჩვენს ყაირათიან და გულმოდგინე მშენებლებს სჩვევიათ მტკიცედ და დროულად შენება, მაგრამ... აქაც იჩენს თავს ეროსისეული „მაგრამ“. ზოგჯერ მშენებლობათა ზოგიერთი ხელმძღვანელები აღმაშენებლის საპატიო სახელს არ იმსახურებენ და ჩვენც სწორედ ამაზე გვგვქნება ქვემოთ ლაპარაკი.

წყალტუბოში, ამ მშვენიერ საკურორტო ქალაქში, პირველი რგოლურის ქუჩაზე აღმართულია ერთი, ასე ვთქვათ, „ისტორიული“ შენობა. 1947 წელს დაიწყო მისი მშენებლობა საქართველოს კოლხური დაზღვევის საბჭომ, მერე შენება რუსეთის კოლხური დაზღვევის საბჭომ იკისრა, შემდეგ გადავიდა ხელიდან ხელში, ხელიდან ხელში და ამჯერად საქართველოს პროფკავშირების კურორტების ცენტრალურ სამმართველოს მეურვეობის ქვეშ მოექცა — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით... დიახ, მოექცა და, თუ ვინ, ან როგორ მოექცა ამ მშენებლობას, ამაზე ნათლად დალაღებენ შენობის ფარალალა კედლები, რომლებსაც სახურავის მოლოდინში თვალეები მოექცათ.

შეხედვას გზად მიმავალი ცნობისმოყვარე მგზავრი და ისტორიული ძეგლი ჰგონია, ზოგს უამთა სიავისაგან რალაც ბედად გადარჩენილი ნამუსრვეი, ზოგს კიდევ... და ჩვენც სწორედ მანდ ვართ... უყაირათო, უკაცრავად პასუხია, და უთავო მშენებლობის კლასიკური ნიმუში.

ვინ არ ჰყოლია ამაგდარად ამ სახლს, ვინ არ ჩასდგომია მის მშენებლობას სათავეში, მაგრამ თავი ვერა და ვერ მოუბამთ ჯერაც.

კაცი ქუდს, ასე ვთქვათ, ნამუსისათვის იხურავს, შენობის ქუდი კი სახურავია, — თუმცა შენობის სინდისი მშენებელთა სინდისზეა თავიდან ბოლომდე დამოკიდებული.

ხსენებული შენობის მშენებლობაში დაბანდებული ათასები წვიმის, თოვლისა და ქართა სათარეშოდ ქცეულან და ბუნების სტიქიებისაგან აწ უკვე კითხვის ნიშანივით მოხრილ-მოკაკეული კედლები კითხულობენ:

— არ აშენდება არაშენდა?

აქტიურობა, აქტიურობა

როცა თოვლი მოდის ციდან, თუნდაც დასდოს ერთი ციდა, ფიფქით თეთრად შენაფერი მოიშლება ყველაფერი: უწყლოდ რჩება წყალსადენი, წყდება დენი, ითიშება ტელეფონი, საამურად გასაგონი. ამათ: ალო, ალო? გინდ იყვირო, დაიდალო! ვით მოვთვალო დანარჩენი, — ასეთია განაჩენი. ქარი მღერის: — ქუთაისო, გული სევდით არ აივსო, სავარდო და სამაისო, წელს თუ მაინც ვერ მოგაწყვეს, მოეწყობი სავაისო. მერ მახლავან წვიმა, თოვლი.

როცა ქუჩებს ვუმღერ ქროლვით, თითქოს სძინავს ცნობილ ქალაქს, თითქოს ყველა გაილაღა, თითქოს ყველა დაიდალა, არც გათბობა, არც გართობა, ვით მოვთვალო დანარჩენი, ასეთია განაჩენი, ვქრი და ვმღერი: — ქუთაისო, სავარდო და სამაისო, შენთან არის გული ჩემი...

როგორ გახდა დათახი 91 ათასი...

ქუთაისის თორმეტი წლის წინანდელმა აღმასკომმა გუმათჰესის მშენებლობის დირექციას ბინათმშენებლობისათვის გორის ქუჩაზე გამოუყო ტერიტორია. მშენებლობას რომ ხელი არ შეშლოდა, ამ ტერიტორიაზე განლაგებული ბინები უნდა აღვიკოყვენ პირისაგან მიწისა, სადაც დავით და ივანე შავგულიძეების ეზოებიც მოხვდა.

— „ბედი მომეც და სანაგვეზე გადამაგდო“, ავაშენოთ, მშენებლებო, ღმერთმაო, — ღიმილით ჩაიღიღინეს შავგულიძეებმა და გუმათჰესის მშენებლებს თეთრი კბილები უჩვენეს.

გულუხვნი აღმოჩნდნენ გუმათჰესის მესვეურნი: ბინისა და ნარგავების საფასურში შავგულიძეებს სხვადასხვა დროს 54.000 მან. გადაუხადეს (შველი კურსით) და სამაგიერო სა-მოსახლოც მიართვეს. დავითს, გარდა ამისა, სხვა ორსართულიანი სახლიც აქვს თავისუფლების ქუჩის მე-6 შესახვევში, მაგრამ ფეიხომ არ არის, იქ გადავიდეს. სახლებიც დარჩათ შავგულიძეებს, ფულიც, ნარგავებიც და მშვენიერი ვენახიც!..

და აი, დავითს კიდევ ერთი სასიხარულო ძღვენიც! გურიელის ქუჩაზე გამოუყვეს საეზოვე ფართობი. აქაც აშენდა ორსართულიანი სახლი, ამ სახლშიც ჩაუთვალეს დავითს 37.000 მან. ვითომ სახლისა და ნარგავების საფასურად და კარგი 91.000 მან. შეუტაროდა.

გუმათჰესის მესვეურებმა სიყრუე მოიგონეს. შავგულიძეები კი გაიძახოდნენ:

— რა ვქნათ, მეზობლებო, ფულს გვაძლევენ და არ ავიდოთ, ვაწყენინოთ იმ ხელუხვხალსო?.. შავი გული ჩვენ გაგვაჩნია, თორემ იმათ ბაჯალდო ოქროს გულეები ჰქონიათ, ვენაცვალეთ, სულის კლიტეში, ამოსახლების ნაცვალდ, მთელი გვარეულობა დაგვასახლესო...

და გამხიარულებულმა დათამ კედლიდან მამაპასიეული გიტარა ჩამოიღო და დაამღერა:

ვენაცვალე დათასო, აწყობს ათას-ათასსო, მივაგენი მადანსო, ქამაში ვგრძნობ მადანსო...

როცა ობიექტის მშენებლობა დამთავრდა, ქობნახების ნაცვლად მრავალსართულიანი სახლები წამოიქიმა. შეიქმნა ახალი ორგანიზაცია: აქტენერგომშენის ტრესტის ქალაქ ქუთაისის საწარმოო კომბინატი.

1959 წლის 2 მარტს ტერიტორიისა და იქ განლაგებულ შენობა-ნაგებობათა მიღება-ჩაბაოების აქტიც დაიწერა. კომისიის წევრებს მიღებისას (გუმათჰესის მშენებლობიდან—ამჟამად ლაჯანურჰესის მშენებლობა—საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსი პაპელაშვილი, მთავარი ბუღალტერი სტრელცოვი და მთავარი ინჟინერი ფანჯლიძე) — „დაავიწყდათ“ აქტში შეეტანათ შავგულიძეების სა-მოსახლოები. ამით ამოსახლება-დასახლების კვალიც დაიფარა და მორჩა!..

ამის შემდეგ მრავალჯერ შეაწუხა ქალაქის აღმასკომმა ლაჯანურჰესისა და საქენერგოს პასუხისმგებელი მუშაკები, მაგრამ ამაოდ, რა დაგკარგვია და რას ეძებ!

ასე გამრავლდნენ შავგულიძეები, ალაპურეს ხელი ცისკენ და თქვეს: ღმერთი ჩვენს მხარეზეა და ჩვენ თვითონ უნდა ვაწარმოოთ ახლობელ-ნათესავების ჩასახლება მუქთად ნაპონ ბინებში.

თქვეს და ნათქვამი საქმედ აქციეს. მაგრამ ვინ არ მიხვდება, თუ „სად მარჩია ძაღლის თავი?“ და, როცა მიხვდებიან, გულიცა და ფერიც უმალ შეეცვლებათ შავგულიძეებს.

აი, როგორ გახდა ივანესი და დათახი 91 ათასი...

სამეფლი

ჩახ. ღონისა



— ამ სტუდენტმა ფოსტალიონად დაიწყო მუშაობა? — არა, გამოცდები იწყება და ლექტორებთან საპროტექციო წერილები დააქვს!





კრიტიკა ზემოდან



კრიტიკა ქვემოდან

# საქართველოს პარტიზანი

— შევიდეთ კომპერატიულ ბინაში, — მითხრა მეუღლემ.

— ჯერ შენ შედი, მე ბოლოს შემოვალ.

— კარგი ახლა, რა დროს ხუმრობაა?

— შევიდეთ, ბატონო, თუ დიდი წვალეა არ დასჭირდა!

დილით რაისაბჭოს აღმასკომში მივედი. კაცმა რომ თქვას, პირობები არ ვიცოდი და თანამშრომელს მივმართე, მგონი ინსპექტორი იყო.

— გამარჯობათ.

— გავმარჯოს, რა გნებავთ?

— ბოდიში, მაგრამ რაა საჭირო, კომპერატიულ ბინათმშენებლობაში რომ ჩავეწერო?

— რა და განცხადება. ცნობაც დაგჭირდებათ. — დაუმატა ინსპექტორმა.

— რა ცნობა?

— ხელფასის შესახებ.

— ახლავე მოგიტანათ.

— შუამდგომლობაც დაგჭირდებათ სამსახურიდან.

— სამსახური რა შუაშია?

შევატყვე, რომ ინსპექტორი წონასწორობიდან ერთბაშად გამოდიოდა, რაღაცის თქმას აპირებდა, ამიტომ დავიძაბე და დასახვედრად მოვემზადე.

— ვინ ხარ, კაცო, შენ... — იღრიალა უცებ.

— ლაპარაკი ისწავლე, შე უზრდელი, ვინაა შენი „კაცო“! — ვიღრიალე მე.

— ამხანაგო! კომპერატიულ ბინის მშენებლობაში ხომ გინდათ ჩავეწეროთ? — მკითხა თავიდან.

— ჯიბიდან ხელი ამოიღე და ისე მელაპარაკე, შე უპატრონო. — გავაფრთხილე მკაცრად. — ახლა კითხულობ რაზე მოგვედი?

— ჰოდა, მოიტანე ის ცნობები, რომლებზედაც გელაპარაკებო.

— შუამდგომლობა რა საჭიროა — მე-თქი, გელაპარაკებო მე შენ.

— ეგ აუცილებელია და, გარდა ამისა, კიდევ დაგჭირდება ცნობა.

— რა ცნობა?!

— ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

— ეგ არაფერი, — დაემშვიდდი მე, — აგერ მიწერია პასპორტში.

— ეგ არ შევლის საქმეს, ცალკე ქაღალდზე უნდა იყოს დაწერილი.

— პასპორტს არ ენდობიან, თუ?

— ნუ დამიწყებ ახლა თავიდან! — იორიალა ინსპექტორმა.

— აბა, ეს პასპორტი რის მაქნისა,

გვეითები შენ. — ვიღრიალე მდ.

— მაგი შეინახე ჯიბეში და, გარდა ამისა, კიდევ დაგჭირდება ცნობა.

— რა ცნობა?

— ცნობა, რომ ჩვენს პლანეტაზე გამოყოფილი არა გაქვთ მიწის ნაკვეთი სამოსახლოდ.

— ნაკვეთი რომ მქონდეს, აქ რა მომიყვანდა, იქ ვერ ავიშენებდი სახლს?

— ჰოდა, მოიტანე ცნობა, რომ არა გაქვს მიწის ნაკვეთი და, გარდა ამისა, კიდევ დაგჭირდება ცნობა.

— რა ცნობა! — ვიბღაღლე მე.

— ცნობა, რომ კერძო სახლი არა გაქვთ.

— დიდუღუღუ!.. — ვიბღაღლე ამჯერაც, რაც ძალი და ღონე მქონდა, — კერძო სახლი რომ მქონდეს, თუ არა საკაცოთ, ჩემი ფეხით რაუა მოვიდოდა აქ?

— მოქალაქე, — იცვლა ინსპექტორმა, — ნუ ბღაღით აქ და, გარდა ამისა, კიდევ დაგჭირდება ცნობა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო და, გული რომ არ წამსვლოდა, წყალი მოვიხიხივე.

— რა ცნობაა ასეთი? ვთქვი ხვნიშით, წყალი რომ დავლიე.

— ცნობა რაილმასკომიდან... ხართ თუ არა აღრიცხვაზე აყვანილი.

— მორჩა? — ვიკითხე მოსებულ ბმით.

— მორჩა, მაგრამ...

— რა მაგრამ... ახლა არ დამიწყო ისევ თავიდან, თუ არა, გავგიჟდები.

— თავიდან არ დაგწყებ, თქვა ინსპექტორმა, მაგრამ, — ზოგიერთი ცნობის წარმოდგენა აუცილებელია თქვენი ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრზე.

— ოჯახში ცოლი მყავს სრულწლოვანი, მაგრამ ის არსად არ მუშაობს.

— ჰოდა, მით უკეთესი, თუ ასეა, მომიტანე ცნობა, რომ მეუღლე არსად არ მუშაობს, რომ მას არა აქვს გამოყოფილი მიწის ნაკვეთი სამოსახლოდ, რომ მას არა აქვს კერძო სახლი, რომ... რომ...

— ამით მორჩა?

— კი, შენ არ მომიკვდე...

— თუ მამა ხარ, კარგად დაფიქრდი, ხომ არ გამოგჩა კიდევ რაიმე ცნობა.

— არა, არაფერი. ძმობას გეფიცებო. თეორიული კონფერენცია დამთავრდა დიდი გაჭირვებით და წარმატებით. მომლოცეთ, ხალხნო! ხვალიდან ვიწყებ პრაქტიკულ საქმიანობას. ამის შესახებ ანგარში უახლოეს 1970 წელს გამოქვეყნდება.

დღესდღეობის ბიტიკო

მორკვევებზე მისულს, — ერთი ძველი, გატეხილი, მეორე ახალი. როცა მეზობლებს უჩივის, სასამართლოში ძველით მიდის, მცემეს და გამიტეხესო. ქალებში გასასვირნებლად კი ახალს იკეთებს.

— მამამ ჩაფშვნილი ჯამივით დაუტოვა ცხოვრება და ისე გაანიავა. შეილებს, ალბათ, იმ პროთეზებს დაუტოვებს მეშვიდრეობად. მისი დევიზია — ჯერ თავო და თავო, მერეც თავო და თავო; ჩემს მერე ქვას უთოვიაო. თავს მუშაყაცად ასაღებს, მაგრამ წვლებზე მხოლოდ ენას იდგამს და გულში ასე ფიქრობს, რასაც იძინებ შენია, რაც არა, დაკარგულიაო.

მაგრამ გამოირკვა, რომ იგი სადღაც ქალაქგარეთ ცხოვრობდა და ახლამახლო მეზობლები სულაც არ ყოლია, მამა კი არც ახსოვდა და მამიდასთან იყო გაზრდილი. „წერა“ მამინ დაეწყო, როცა უფროსს უსამართლოდ მოეხსნა.

ყველაფერი ეს გამოირკვა, მაგრამ ამ დროისთვის ის უკვე დამარხული იყო მორალურად.

ასე დამარხეს ანგელისი და საფლავზე ეშმაკის ქანდაკება დაუდგეს.

ადამიანებო, იყავით ფხიზლად, ნუ დაუჩერებთ იარლიყს, დაუჩერეთ ადამიანს!

## ი ბ რ ლ ი უ ი

ინტრიგანის, „მწერლის“ იარლიყი თუ ვინმეს შეაბეს, მტრისას. ურჩევნია კისერზე, წისქვილის ქვა კი არა, მთელი წისქვილი შეიბას და „საკუთარი განცხადების საფუძველზე“ გადახტეს მოდიდებულ წყალში.

მაგალითი?.. ინებეთ:

იყო დაწესებულება, ყავდა უფროსი, რომლის პრინციპი „შეასრულე — მომახსენე“ იყო. თანამშრომელმა უჩივლა რომ, დავუშვათ და, მომივიანს ბომბი ესროლა და რაკი დაუწერა, მორჩა, გათავდა მისი კაცობა და კისერზე დამხრჩვალნი ძაღლივით დაეკიდა ინტრიგანის, ე. ი. ყოველად ცხელი კაცის იარლიყი.

— მაგას, ბატონო, კბილის ორი პროთეზი აქვს, — ეუბნებოდნენ გა-

# საქართველო საზოგადოებრივი



— ვინც მოვიდა გაუმარჯოს! — ამ სიტყვებით შეეგება ოჯახის უფროსი ჩემი საყვარელი ძმისწულის რომას გამორჩენას. ნაცნობები და უცნობები ფეხზე ადგომით შევხვდით შესანიშნავი ვაჟაკის შემოსვლას. საზეიმო ოჯახი მყუდროება დაურღვია და უდროოდ გააღვიძა ყველაზე „მაგარი მსმელები“ ოსიკო და მიშა, რომლებიც მაგიდიდან მოუწყვეტლად, მუსიკალური ხერხინვის თანხლებით, წარმატებით ატარებდნენ ძილის მორიგ სეანსს. მათ გაურკვეველი ლულულდით გარკვეულად გამოხატეს სტუმრის მოსვლით გამოწვეული სიხარული.

აღტაცების გარეშე მდგომარეობაში მხოლოდ ქალაქიდან მოვლინებული ამხანაგი ავქსენტი აღმოჩნდა. მან აინუნშიაც არ ჩააგდო რომას მოსვლა და დინჯად განაგრძო გვერდით მჯდომ მანდილოსანთან საუბარი.

ავქსენტის მედიდური და ამაყი გამომეტყველება ნათლად ლაპარაკობდა: ეგდა მაკლია ახლა რესპუბლიკური მასშტაბის მუშაკი რაიონში სუფრაზე შემოსწრებულ ბიჭბუჭებს ფეხზე ადგომით შევხვდეთ. ყველაზე მეტად მე აღმაშფოთა საყვარელი ძმისწულის დამცირებამ და ყოველმხრივ ვცდილობდი სამაგიერო გადამეხადა თავხედი სტუმრისათვის. ჯერ რომას გადავეცი ჩემი ჩანაფიქრი, შემდეგ კი თამადას გავანდე საიდუმლოება.

თამადამ განსაკუთრებული სასმისი მოითხოვა და აღტაცებით შესვა რომას სადღეგრძელო.

— მეგობრებო, — ამბობდა ის, — დღეს ჩვენთან არის პასუხისმგებელი მუშაკი, შესანიშნავი ადამიანი, რომელმაც პატივი დასდო ამ საყვარელ ოჯახს და თავისი მობრძანებით გააბედნიერა. ძვირფასი რომა, მიუხედავად დიდი დატვირთვისა, უდიდეს მზრუნველობას იჩენს ჩვენი რაიონისადმი. მისი წყალობითაა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები დიდი სისწრაფით მიდიან წინ.

მაგიდაზე ეპითეტებისა და საქებარე სიტყვების გრიგალი დატრიალდა. ამიერიდან ყურადღების ცენტრში რომა მოხვდა. ქალიშვილებმა ადგილები გადაინაცვლეს, უფრო ახლო დასხდნენ ჩემს ძმისწულთან და ერთმანეთს ეცილებოდნენ მასთან საუბარს. შემოტანილ ახალ კერძს ავქსენტი პირდაპირ ხელიდან სტაცებდა დიასახლისს და, მიუხედავად მანდილოსანთა სიმრავლისა, პირველ

რიგში რომას სთავაზობდა ხორცეულის საუკეთესო ნაჭრებს, მაგიდის სხვა ადგილებიდანაც საპატიო სტუმრის წინ მოუყარა თავი ყველაფერს.

როცა თამადამ მეგობრობის სადღეგრძელო შესვა, ავქსენტი მთლად ენად გაიკრიფა, მეგობრობის სიმბოლოდ რომა გამოაცხადა, ათასგვარი ეპითეტებით შეამკო და ყოველი სიტყვის შემდეგ მხურვალე კოცნით დააჯილდოვა. მორიგი სადღეგრძელოს დამთავრების შემდეგაც ავქსენტიმ კვლავ მეგობრობაზე გააგრძელა საუბარი.

— შენ მეგობარი კი არა, ნამდვილი ძმა ხარ! — ეუბნებოდა ის რომას და საცივში ამოსვრილ ხელებს საკუთარ კოსტუმზე იწმენდა.

ყველა სულგანაბული უსმენდა ჩემი ძმისწულის სამადლობელო სიტყვას.

— ბოდიშს ვიხდი, მეგობრებო, დაგვიანებისათვის, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ჩემი სამუშაოს ხასიათი, ერთი წუთითაც არ მაქვს მოსვენება, ათასი დავალება, მოსკოვი, თბილისი. ახლაც, წამოსვლის წინ ჩემს კარგ მეგობარს ველაპარაკე ტელეფონით. — აქ რომამ ისეთი პიროვნების გვარი დაასახელა, რომ ავქსენტი ბზიკნაკბენივით წამოხტა სკამიდან.

ქეფი ეშხში შევიდა. მიშამ ინიციატივა გამოიჩინა და ჩვენი ჯიბეების დასაცვლელად ზურნა-დუდუკი მოგვაცენა კარზე. ერთ-ერთი ცეკვის შემდეგ ავქსენტიმ დრო იხელთა და რომას მიუჯდა გვერდით. ახლა ის მოწიწებით ესაუბრებოდა ახალგაცნობილ პასუხისმგებელ მუშაკს და თავისი თავისათვის ვერ ეპატიებინა მასთან პირველი შეხვედრის დროს ჩადენილი თავხედობა.

— ა, ჩემი მისამართი (ავქსენტიმ ქალღლი გადასცა მეგობარს), თბილისში რომ ჩამოხვალთ, პირველად ჩემს ოჯახში უნდა მოხვიდეთ. ცოტა უხერხულია, მაგრამ, როგორც საკუთარ ძმასთან, ერთი თხოვნაც მაქვს, ჩვენს დაწესებულებაში კარგი ადგილი თავისუფლდება, შემაწიეთ უფროსთან ორიოდე სიტყვა და თქვენს პატივისცემას ჩემს დღეში არ დავივიწყებ.

სუფრაზე ატეხილმა ხმაურმა და ზურნა-დუდუკის ხმამ ჩაახშო მათი საუბარი. იაშა მოხვეურს ცეკვავდა და გამოღვიძებული ოსიკო მაგიდაზე ხელის ბრახუნითა და შეძახილებით გამოხატავდა თავის აღტაცებას.


გთენებისას დამთავრდა ქეფი. მანქანებში ჩასხდომის დროს ავქსენტი დაწინაურდა და გმოცდილი კარისკაცით სწრაფად გაულო რომას „ვოლგის“ წინა კარი, თვითონ კი უკან ჩაჯდა, რომ არ დაშორებოდა მეგობარს.

სასტუმროს წინ გამომშვიდობების მთელი ცერემონიალი გაიმართა. ავქსენტიმ ბარე ოცჯერ გადაჰკოცნა ჩემი ძმისწული და შემდეგ მორიდებით ჰკითხა:

— ძვირფასო რომა, როგორია თქვენი კოორდინატები, სად შეიძლება თქვენი ნახვა?

— მე ადვილი სანახავი ვარ, ჩემი სამსახური სულ ას მეტრზეა აქედან, რომელ შოფერსაც არ უნდა ჰკითხოთ გარაჟის გამგე რომა, ყველა მოგასწავლის. ისე თუ მანქანა დაგჭირდეთ, ჯიგარო, ნუ მოგვერიდებით, მზად ვართ თქვენი სამსახურისათვის.

6. ნუკრიძე



უტექსტო ხუმრობა

რედაქტორი **ნ. შველიძე**. | **სარედაქციო კოლეგია:** **ნ. დუმბაძე**, **ს. კლდიაშვილი**, **ნ. მალაზონია**, **მ. ქარჩავა**, **ო. ჭელიძე**. | **საქ. კბ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. | **გადაცემის მისამართი:** **რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები:** **რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49**

ხელმოწ. დასაბ. 6/X-1965 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცვ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3548. უფ 02803. ტირაჟი 4000



65-31

ქუთაისის სასადილოების ტრესტის დირექციამ ფილარმონიის სა-  
ზამთრო თეატრში მოაწყო კულინარული ნაწარმის გამოფენა გა-  
ყიდვით.

ახალი დადგმა ქუთაისის ფილარმონიის საზამთრო თეატრში.



ნახ. ზ. ფორახნიძისა